

მარნეულის მუნიციპალიტეტის მანეთარების გეგმა



financed by
Austrian
Development Cooperation

მარნეულის მუნიციპალიტეტის მანეთარჯის გემვა



მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შემუშავდა პროექტის გუნდისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით:

1. **მიხეილ პაკაცოშვილი** – JOIN პროექტის კოორდინატორი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
2. **ზვიად დევდარიანი** – აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
3. **ნინო ჩიტორელიძე** – JOIN პროექტის ოფიცერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
4. **დავით ჯიჭელავა** – ექსპერტი
5. **ხათუნა მადურაშვილი** – გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
6. **კახა ბახტაძე** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
7. **ირაკლი ქობალია** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებაში:

1. **ნინო სამხარაძე** – ფერმერი
2. **დავით კუპატაძე** – ფერმერი
3. **მაზაპირ ბაბაშვიც** – ფერმერი
4. **ელმირა იუსუბოვა** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
5. **ოლგა ენდელაძე** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
6. **თამარ მუჟაფანაძე** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
7. **ოთარ ჭანტურია** – ადგილობრივი თვითმმართველობა
8. **ელგუჯა კუპატაძე** – ადგილობრივი თვითმმართველობა
9. **გიორგი ძინძიბაძე** – სურსათის უვნებლობის სააგენტოს მარნეულის სამსახური

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა გამოცემულია პროექტის „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (JOIN) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მეშვეობით და ხორციელდება CARE ავსტრიის და CARE საერთაშორისო კავკასიის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
პირველი ნაწილი: ზოგადი მიმოხილვა	6
გეოგრაფიული მდებარეობა	6
კლიმატი	6
ბუნებრივი რესურსები	7
მიწის რესურსი	7
ტყის რესურსი	7
წყლის რესურსი	8
მინერალური რესურსი	8
ადამიანური კაპიტალი	8
გენდერი	10
ინფრასტრუქტურა	11
ადგილობრივი ეკონომიკა	13
მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	14
მეორე ნაწილი: მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები	17
მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა	17
მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები	17
მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები	17
მესამე ნაწილი: მარნეულის მუნიციპალიტეტში წარმოებული პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი	19
ზოგადი საკითხები	19
საწარმოო მასალის მიწოდება	19
პომიდვრის მოყვანა	21
პომიდვრის მოსავლის აღება და გაყიდვები	21
პომიდვრის იმპორტის ტენდენციები საქართველოში	23
მეოთხე ნაწილი: საკანონმდებლო ანალიზი პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვისთვის	24
ზოგადი საკითხები	24
სურსათის უსაფრთხოება	25
წარმოება	26
გაყიდვები	28
მეხუთე ნაწილი: ინიციატივები მარნეულის მუნიციპალიტეტში	28

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

მარნეულის ეკონომიკის ანალიზისას ჯგუფმა რამდენიმე კრიტერიუმით გამოავლინა მუნიციპალიტეტში განვითარებული სექტორები და პრიორიტეტული მიმართულებები. მესაქონლეობის და მემცენარეობის სექტორების განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და სექტორში დასაქმებულების, მათ შორის ქალების, რაოდენობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვს.

მუშაობის პროცესში ჯგუფმა გააანალიზა:

- პომიდვრის წარმოებაში სარგავი მასალის, სასუქების და პესტიციდების გამოყენების, დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის კუთხით არსებული მდგომარეობა;
- ირიგაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ვითარება და პრობლემები;
- პროდუქციის შენახვის მექანიზმები;
- პომიდვრის გადამამუშავებელი საწარმოების მუშაობა;
- მწარმოებლების კავშირები საბოლოო ბაზრებთან, მათი სტრუქტურა და გამოწვევები;
- სექტორის დამხმარე სერვისები (ფინანსური რესურსები, მექანიზაცია, ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია) და მათზე ხელმისაწვდომობა.

ანალიზის შედეგების მიხედვით ჯგუფმა გამოავლინა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც გადაჭრის ღირებულებათა ჯაჭვში არსებულ პრობლემებს და გაზრდის მასში ჩართული ღირებულების მოსახლეობის შემოსავლებს.

გეგმა შეიმუშავებულია „ადგილობრივი მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის – JOIN“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. პროექტი დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ (ADC).

ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ერთობლივი დაგეგმვით, გაუმჯობესებული თანამშრომლობითა და ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლით JOIN ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში. საქართველოში პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის, ხოლო სომხეთში – ლორის, ტავუშის და შირაქის რეგიონებში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სამი სექტორის – ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის – წარმომადგენლები. მათ არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლათ და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინიციატივები სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ. სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- შეიქმნა ჯგუფი, რისთვისაც პროექტის გუნდი მარნეულში წინასწარ შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია;
- ჯგუფის შექმნის შემდეგ წევრებს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის საჭირო უნარების ასამაღლებლად ტრენინგები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში განვითარებული ეკონომიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად მათ გამოკითხეს ადგილობრივი მოსახლეობა. ჯგუფს მუნიციპალიტეტების ზოგადი პროფილებისთვის ინფორმაციის მოგროვებაში ნაწილობრივ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი დაეხმარა;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა გამოავლინა პრიორიტეტულ ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ანალიზში, მონაწილეობდა JOIN პროექტის გუნდი, შეიქმნა დამატებითი ფოკუს-ჯგუფები, ჩაიწერა ინტერვიუები;
- გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც დადებითად იმოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე და მასში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა გეგმის საბოლოო ვერსია, რომლის პრეზენტაციაც მუნიციპალიტეტში გაიმართა. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში თემის მონაწილეობას უზრუნველყოფს.

ანალიზის დროს ჯგუფმა გაითვალისწინა გენდერული ასპექტები – ქალებისა და მამაკაცების როლი ღირებულებათა ჯაჭვში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მისმა განვითარებამ თითოეულ მათგანზე. ამასთან, ანალიზის დროს ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვაზე, არსებულ რისკებზე და მათი შემცირების მექანიზმებზე.

პირველი ნაწილი:

გოგადი მიმთხილვა

გეოგრაფიული მდებარეობა

მარნეულის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის ქვემო ქართლის მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით გარდაბანის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, დასავლეთით – ბოლნისის, ჩრდილოეთით თეთრინყაროს, ხოლო სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. სამხრეთის ნაწილში სომხეთის საზღვარი ლორის მარზაზე გადის. მარნეულში მდებარეობს სასაზღვრო გამშვები პუნქტი სომხეთთან – სადახლო, რაც მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ-ით. ხოლო წითელი ხიდი – სასაზღვრო გამშვები პუნქტი აზერბაიჯანთან – მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 30 კმ-ით არის დაშორებული.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 935,2 კმ². მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის მონაცემებით, მარნეულის მოსახლეობა 129 600 ადამიანს შეადგენდა. მუნიციპალიტეტში ერთი ქალაქი და 74 სოფელი შედის, სოფლები გაერთიანებულია 17 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში: ქ. მარნეული, შაუმიანი, ალგეთი, ახქერფი, დამია-გიურარხი, თამარისი, კასუმლო, წერეთელი, ოფრეთი, სადახლო, ქუთლარი, ყაჩაღანი, ყიზილ-აჯლო, ყულარი, შულავერი, წერაქვი, ხოჯორნი.¹

კლიმატი

კლიმატურად მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს ზომიერად თბილი სტეპების ჰავის ტიპით, დამახასიათებელი ცხელი ზაფხულით. მუნიციპალიტეტის მთიან ნაწილში (ბაბაკარის და იალლუჯის სერებზე, ასევე ლოქის ქედზე) წარმოდგენლია ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავის ტიპი, დამახასიათებელი ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ქალაქ მარნეულში ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა 12.1°C-ია. წლის უთბილესი თვის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა – 23.9°C, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი – 40°C. იანვრის, წლის ყველაზე ცივი თვის, საშუალო ტემპერატურა 0-0.3°C, აბსოლუტური მინიმუმი კი -25°C. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 2,300-2,400 სთ.

¹ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ნალექების წლიური ჯამია 400-550 მმ. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი კი – დეკემბერში. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2-4 მ/წმ-ს უდრის. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 4.

ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია წყალდიდობები და წყალმოვარდნები თანმდევი მდინარეთა ნაპირების ინტენსიური ეროზიით, მეწყრული, ღვარცოფული და დახრამვითი პროცესები. ასევე, ძლიერი წვიმა, სეტყვა და გვალვა.

მეწყრული, ღვარცოფული, დახრამვითი და ნაპირების გარეცხვის პროცესები შეიმჩნევა მდინარეების: მტკვარი, ალგეთი, ხრამი და დებედას მაღალი ტერასების ფარგლებში და ჭალებში მდებარე სოფლებში², რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

ადგილობრივი გამგეობის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს წყალდიდობა და სეტყვა. უკანასკნელ წლებში სეტყვის შედეგად დაზიანდა 460 ოჯახი და მათი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (დაახ. 221 ჰა). მუნიციპალიტეტის ხელისუფლების შეფასებით ამ მოვლენებიდან გამომწვეული ბარალი მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 300,000 ლარს შეადგენს.³

ბუნებრივი რესურსები

მიწის რესურსი

მუნიციპალიტეტში, დამლაშებულ და ბიცობიან ნიადაგებთან ერთად, გავრცელებულია ნაბლა, ყავისფერი და მუქი ნიადაგები. მტკვრისა და ხრამის ნაპირებზე ასევე გვხვდება ალუვიური კარბონატული ნიადაგები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლანდშაფტის შემდეგი სახეებია:

- სტეპური ნახევარუდაბნოს ვაკე, ნაბლა და დამლაშებული ბიცობიანი ნიადაგებით;
- სტეპური მაღლობი ჯაგეკლიან უროიანი მცენარეულობით ნაბლა ნიადაგების კომპლექსზე;
- ბორცვიანი მთისწინეთი მუხნარ-რცხილნარით, ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე;
- დაბალი მთები მუხნარ-რცხილნარით, ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე;
- საშუალო სიმაღლის მთები წიფლის ტყით, ყომრალ ნიადაგებზე;
- ტუგაის ტყის ლანდშაფტი განვითარებული მდინარისპირა სანაპიროებზე.⁴

ტყის რესურსი

პირველადი ბუნებრივი მცენარეულობა და ტყის საფარი შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული კუნძულების სახით. ბრტყელი ზედაპირის რელიეფზე ალაგ-ალაგ გავრცელებულია ნახევარუდაბნოს მცენარეულობა და ტყე. ვაკე ადგილებსა და ფერდობებზე გვხვდება სტეპის ტყე-ბუჩქნარები. მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ ვიწრო ბოლის სახით წარმოდგენილია ჭალის ტყეები.

2 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიური სამიშროებების მართვის დეპარტამენტი. საინფორმაციო ბიულეტენი – „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისთვის“. თბილისი – 2013

3 <http://nala.ge/uploads/marneuli.pdf>

4 მერსი ქორი, მარნეულის საბაზისო კვლევა

მუნიციპალიტეტში ტყის მთლიანი ფონდი 14,583 ჰექტარია და მას, ძირითადად, შემის დასამზადებლად იყენებენ, რაც ტყეს ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ფუნქციას უკარგავს.

სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს ტყის ფონდის გამოყენებას მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, სათიბად, საძოვრად, საფუტკრისა და საქონლის დროებითი სადგომების მოსაწყობად, ტყის ფონდში არსებული ბალებითა და ვენახებით სარგებლობას. აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ აზიანებს აღმონაცენ-მოზარდს, არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გაცემულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ დროებითი ნაგებობის მოწყობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 57). ტყითსარგებლობის წესის მიხედვით, ტყის ფონდის სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ტარდება აუქციონი (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 45).

წყლის რესურსი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება სამი მდინარე: ხრამი, ალგეთი და დებედა. მდინარე ხრამს მარნეულის ტერიტორიაზე უერთდება მდინარე შულავრისწყალი, რომელსაც მთლიანად სარწყავად იყენებენ. მდინარეების წლიური ჩამონადენის ნახევარზე მეტი გაზაფხულზე მოდის, რაც ზოგჯერ წყალდიდობებსაც იწვევს. მდინარეებს იყენებენ როგორც სასმელად, ისე სარწყავად. არსებული წყლის რესურსი არასაკმარისია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოსარწყავად. ამისათვის საჭიროა ახალი საირიგაციო სარწყავი სისტემის გამართვა და არსებულის რეაბილიტაცია. მდინარეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას სასმელი წყლით მთლიანად ამარაგებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის ბუნებრივი ტბები.

მინერალური რესურსი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება მინერალური რესურსები. აქ არის დიდი ოდენობით ბაზალტის ქვის საბადო, მარმარილოს საბადო სადახლოში, ქვალორდის, გაჯის და თეთრი ქვის მარაგები. მარმარილოს, ქვალორდისა და გაჯის ნედლეულს ამუშავებენ და სამშენებლო მოსაპირვეთებელი სამუშაოებისას იყენებენ*.

ადამიანური კაპიტალი


მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 129 600 ადამიანი, მათ შორის 62 208 (48%) კაცია ხოლო 67 392 (52%) – ქალი.

32 405 (25%) მოსახლე ქალაქში ცხოვრობს, 3445 (2.6%) – დაბაში, ხოლო 93 750 (72.4%) – სოფლის მაცხოვრებელია (იხ. დიაგრამა #1).

* მარნეულის რუკა, იხ. გვ. 30

დიაგრამა 1: მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით


სოფლის მოსახლეობა
 ქალაქის მოსახლეობა
 დაბის მოსახლეობა



მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანელია (69.2%), ქართველები მოსახლეობის 21.7% შეადგენენ, სომხები – 8,5%, ხოლო 0.6 % სხვადასხვა ეროვნებისაა.⁵

მარნეულის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაჰმადიანია, რაც ძირითადად ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას წარმოადგენს, შემდეგ მოდის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არის გრიგორიანელი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

დიაგრამა 2: მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



მუნიციპალიტეტში 15 წელს ზემოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 52.5% დასაქმებულია. მათ შორის 63.2% მუშაობს საკუთარ მიწაზე, 3.7% აქვს საკუთარი ბიზნესი, 16.7% მუშაობს ანაზღაურებით, 16.4% – სხვადასხვა დარგებში. მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 15.5%-ია. 4,555 ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

⁵ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში

ცხრილი 1: მარნეულის მუნიციპალიტეტის და ქვემო ქართლის დასაქმების სტატისტიკა⁶

მუნიციპალიტეტი	დასაქმებულთა წილი 15 წელზე უფროს მოსახლეობაში(%)	აქვს საკუთარი ბიზნესი	მუშაობს ანაზღაურებით	მუშაობს საკუთარ მიწაზე	სხვა	უმუშევრობის დონე
მარნეული	52.5	3.7	16.7	63.2	16.4	15.5
ქვემო ქართლი	43.7	4.1	35.7	42.5	17.6	26.1

გენდერი

საქართველოში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია რამდენიმე კუთხით. ქვეყანაში არსებული კულტურა და ტრადიციები განაპირობებს, რომ ოჯახში, ხშირად, საქმიანობები გადანაწილებულია გენდერული პრინციპით – „სახლის გარეთ“ აქტივობები, როგორცაა მოლაპარაკებები ტექნიკის ან სასუქების მიმწოდებლებთან, მოსავლის გაყიდვა და ყანის მოვლა, მამაკაცის პრეროგატივად ითვლება. ქალებს კი „შინაური საქმეები“ აბარიათ – სახლის/ეზოს მოვლა, საჭმლის მომზადება, რეცხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ – მაგალითად, მძიმე ტომრების გადატანა – როგორც წესი, კარტოფილის ან პომიდვრის მოსავლის აღებაზე ქალები მუშაობენ, რაც დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. სოფლად არსებული საქმეების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ქალებს საშუალოდ უწევთ უფრო მეტი დროის დახარჯვა საქმეებზე, ვიდრე მამაკაცებს, რადგან „სახლის გარეთა“ აქტივობები უფრო მცირეა, ვიდრე „საშინაო საქმეები.“⁷

„საშინაო“ და „საგარეო“ საქმეების გარდა, არსებობს, ასევე, „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ საქმეებიც. „მნიშვნელოვან“ გადანყვეტილებებს, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, ძირითადად კაცები იღებენ. ქალები კი – „ნაკლებად მნიშვნელოვან“ ყოველდღიურ გადანყვეტილებებს, როგორცაა, მაგალითად, საკვების მომზადება და ბავშვების მოვლა. რეალურად, გამოდის, რომ სწორედ ქალები წყვეტენ ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რადგან ტექნიკის ან საქონლის შეძენა ადგილობრივი ფერმერებისთვის არ არის ხშირი მოვლენა. ოჯახის სახარჯო ბიუჯეტი, ძირითადი მოხმარების საგნების საყიდლად, ქალების განკარგულებაშია. თუმცა, „ოჯახის უფროსის“ ტიტული მაინც მამაკაცებს ეკუთვნით.⁸

სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში ქალების როლი და პასუხისმგებლობების საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგრამ საკმაოდ პრომატევადი. ტექნიკის დაქირავების ან მოსავლის გაყიდვის პროცესს, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ. თუმცა მოსავლის აღების, მაგალითად, კარტოფილის ამოღების სამუშაოებში, ქალები ხშირად არიან ჩართულნი.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების და დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ქალთა როლის გაზრდის პოტენციური სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში. მაგალითად, ქალთა ნაწილს სურს, დაეუფლოს იმ ტექნიკური საშუალების მართვას, რაზეც მოთხოვნა არსებობს მუნიციპალიტეტებში. მართალია, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხ-

6 პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში

7 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

8 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

ვედრია მსგავს ინიციატივებს, მაგრამ შეიქმნა მსგავსი შესაძლებლობის განხილვის პრეცედენტი. ამ კუთხით ქალების როლის ზრდა მცირედით მაინც მოახდენს გენდერული როლების დაბალანსებას. საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის კუთხით. 2010 წელს მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რის შემდეგაც დამტკიცდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა. ასევე, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ მიმდინარე გენდერულ საკითხებზე და მიიღონ გადაწყვეტილებები. თუმცა, პრობლემად რჩება არსებული კანონების და ნორმების აღსრულება. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპები და გენდერული როლები, პრაქტიკულად, არ იცვლება. ასევე, ხშირად სხვადასხვა ცნობადი სახეები ცდილობენ გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ძალიან ცოტაა შანსი, რომ გენდერული როლები გათანაბრდეს.

ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების საერთო სიგრძე 540 კმ-ია, საიდანაც 220 კმ სახელმწიფო მნიშვნელობის გზაა. საერთაშორისო მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე 65 კმ-ია, მათ შორის მარნეული-წითელი ხიდის მიმართულებით 23 კმ, თბილისი-მარნეული-სადახლოს მიმართულებით – 34 კმ, ხოლო მარნეული-გუგუთი (მარაბდა-ყიზლაჯლოს მონაკვეთი) – 8 კმ.

ადგილობრივი თვითმმართველობის 2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების 230 კმ მთლიანად ასფალტირებულია, 310 კმ – გრუნტოვანი. სოფლებთან მისასვლელი და შიდა საუბნო გზები 320 კმ სიგრძისაა, რომელთა შორის ახლად მოასფალტებული მონაკვეთებიც გვხვდება, თუმცა ძირითადი გზები გრუნტოვანია, ხოლო ძველი ასფალტის საფარს რეაბილიტაცია სჭირდება.

სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა

მარნეულის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლით მთლიანად არის უზრუნველყოფილი ქალაქი მარნეული და ყველა სოფელი, გარდა ხუტორ ლეუბადინის, ხიხანის, თაკალოს, ხანჩიგაბლოსა და კირაჩმუღანლოსი, სადაც მოსახლეობა სასმელ წყალს წყაროებიდან და ჭებიდან იღებს. სასმელი წყლით უზრუნველყოფილ ოჯახებს წყალი მიეწოდებათ ცენტრალური გაყვანილობით ბუნებრივ წყაროებთან არსებული შემკრები რეზერვუარებიდან.

მარნეულის მოსახლეობას სასმელი წყლით სამი კომპანია ამარაგებს: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, მარნეულის სოფლის წყალი და რუსთავის წყალი. ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო მაღალია დანაკარგების ნორმა, რაც ზრდის წყლის თვითღირებულებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს სისტემის მთავარი პრობლემაა.

მარნეულში კანალიზაციის სისტემის საერთო სიგრძე 24 კმ-ია. მას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მართავს. მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემების მიხედვით კომპანიას 2500 აბონენტი ჰყავს.

ბუნებრივი აირით მომარაგება

მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის მიწოდებას „სოკარ ჯორჯია მარნეულგაზი“ უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემებით, ქალაქ მარნეულის 97%-ს მიეწოდება ბუნებრივი აირი, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სოფლებს, იქ გაზის მიწოდების საშუალო მაჩვენებელი 10%-ია. მათ შორის ბუნებრივი აირით სარგებლობს წერეთლის თემის 815 ოჯახი, ქუთლიარის თემის 603 ოჯახი, თამარისის თემის 350 ოჯახი, შულავერის თემის 472 ოჯახი, ალგეთის თემის 289 ოჯახი და ყულარის თემის 621 ოჯახი.

ელექტროენერჯით მომარაგება

მარნეულის მუნიციპალიტეტი მთლიანად არის ელექტროფიცირებული. ელექტროენერჯის მიწოდებას „ENERGOPRO Georgia“ უზრუნველყოფს.

ნარჩენების მართვა

მარნეულის მუნიციპალიტეტში ერთი არალეგალური ნაგავსაყრელია. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა 19,800მ³-ია. ნარჩენების გატანის მოსაკრებლის ტარიფები განსხვავდება ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით და 0,2 ლარიდან 0,50 ლარამდე მერყეობს. დასუფთავებაზე დაწესებულ მოსაკრებელს მოსახლეობის დაახლოებით 80% იხდის. აღსანიშნავია, რომ ნარჩენები მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 40-45%-დან გააქვთ, რადგან სოფლებში არ არსებობს ბუნკერები და მოსახლეობა ნარჩენებს მდინარეების კალაპოტებსა და ხევებში ქაოსურად ყრის.⁹

საირიგაციო სისტემების ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად გამართულია საირიგაციო სისტემები, რითაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი ირწყვება. თუმცა, თუკი სისტემის გარკვეული ნაწილი შეკეთდება, გაცილებით მეტი ტერიტორია მოირწყვება. მარნეულის სარწყავ არხებს მართავს სახელმწიფო შპს „გაერთიანებული სამედიკორაციო სისტემების კომპანია“, რომლის კომპეტენციაში შედის როგორც სისტემის რეაბილიტაცია და გამართვა, ასევე, წყლის მიწოდება მომხმარებელამდე. სისტემა, ძირითადად, სამი მდინარის: ხრამის, მაშავერასა და დებედას წყლებით მარაგდება, თუმცა მთავარი სირთულე წყლის რესურსის ნაკლებობაა, განსაკუთრებით გვალვების პერიოდში, როცა ვერ ხერხდება მომხმარებელთა სრულად დაკმაყოფილება.

ცხრილი 2: სარწყავი სისტემების პოტენციური მარნეულის მუნიციპალიტეტში¹⁰

დასახელება	სიგრძე კმ	სარწყავის ტიპი	მორწყვის პოტენციური კა
ხრამის არხი	28,4	თვითღინებით	3534
წერეთლის არხი	22,9	თვითღინებით	1861
ვახუშტის არხი	10	თვითღინებით	680
მთის არხი	34	თვითღინებით	539
ალმაშენებლის არხი	39,8	თვითღინებით	1631
ვაზიანის არხი	18,1	თვითღინებით	190
დებედას არხი	12,9	თვითღინებით	269

9 მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

10 შპს „გაერთიანებული სამედიკორაციო სისტემების კომპანია“ ხრამი-დებედას აუზის სისტემური სამმართველო

პატარა არხი	9,5	თვითდინებით	360
9 აპრილის არხი	8,6	თვითდინებით	320
ახალი სადახლოს არხი	28	თვითდინებით	1674
ბაგრატის არხი	12,8	თვითდინებით	160
წმინდა ნინოს არხი	11,6	თვითდინებით	260
თამარისის არხი	7,2	თვითდინებით	249
მეგობრობის არხი	20,4	თვითდინებით	560
ცისკრის არხი	16,6	თვითდინებით	440
წმინდა გიორგის არხი	12,5	თვითდინებით	326
გამარჯვების არხი	27,5	თვითდინებით	1628
ბარათაანთ არხი	37,7	თვითდინებით	910
ძველი სადახლოს არხი	5	თვითდინებით	680
იბერის არხი	9,3	თვითდინებით	247
ბოლო არხი	15	თვითდინებით	343
სულ	387,8		16 861

სულ მუნიციპალიტეტში არსებობს 16, 871 ჰა-ს მორწყვის პოტენციალი, თუმცა რეალური მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ ნაკლებია – 4,968 ჰა.¹¹ სულ მუნიციპალიტეტში დაახლოებით 22 ათასი ჰა ფართობის სახნავი მიწაა. შესაბამისად, საკმაოდ დიდი რაოდენობის ფართობი ირიგაციის გარეშეა დარჩენილი.

ადგილობრივი ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი შეადგენს 57 060 ჰა-ს. მათ შორის: სახნავი ფართობი არის 22 282 ჰა, სათიბი – 1 721 ჰა, საძოვრები – 30 945 ჰა; მრავალწლიან ნარგავებს უკავია – 2 112 ჰა.¹²

2012 წლის შემოდგომასა და 2013 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტში 13 198.5 ჰა მიწის ფართობი მოიხნა. დათესილ მარცვლეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი წილი ხორბლისაა და 2013 წლისთვის 3595 ჰა შეადგინა, ხოლო სიმინდი 3539 ჰა დაითესა. ბოსტნეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი ნათესი ფართობი 1358 ჰა პომიდორზე მოდის.¹³

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ასევე გავრცელებულია: ხორბალი, ქერი, სიმინდი, ჭვავი, მზესუმზირა; ბოსტნეული კულტურებიდან: პომიდორი, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, ლობიო, კიტრი და ა. შ.

მარნეულის მუნიციპალიტეტს აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი პირობები. ხელსაყრელი კლიმატი წელიწადში მოსავლის 2-3-ჯერ აღების საშუალებას იძლევა. მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მეცხვარეობა და მეფრინველეობა.

11 შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ხრამი-დებედას აუზის სისტემური სამმართველო

12 მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

13 მარნეულის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მეცხოველეობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მარნეულში არსებული იაღლეუჯის და ბაბაკარის საძოვრებზე 6512 ჰა მიწის ფართობით სარგებლობენ: ქ. მარნეული, კაპანახჩის, ალგეთის, კაჩაღანის და კასუმლოს თემები.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2013 წლის მონაცემებით, 32 197 სულია. მეცხოველეობას მოსახლეობის 70% მისდევს, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 40 ფერმერული მეურნეობა, რომელთაც 100-ზე მეტი მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ.

მეფუტკრეობა უკანასკნელ პერიოდში ფართოდ განვითარდა ჰპოვა. 2013 წელს აღრიცხულია 3790 ფუტკრის ოჯახი. მარნეულში 18 მეურნეობა ფუნქციონირებს, რომელთაც 50-100 სკა ჰყავთ. მეფუტკრეობით მოსახლეობის 7%-ია დაკავებული.

მემინდვრეობაში უპირატესად განვითარებულია პომიდვრის და სხვა ბოსტნეულის (ბადრიჯანი, კიტრი, ხახვი) და მარცვლოვანი კულტურების წარმოება. პომიდვრის საჰექტრო მოსავლიანობა საშუალოდ 25 000-30 000 კგ-ია. ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმაციით, 2012 წელს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მოსავლიანობა დაფიქსირდა და მთლიანობაში 28 110 ტონა შეადგინა. ხორბლის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე საშუალოდ 2,500-3,000 კგ-ია. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესოა მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის და ბაღრეულის წარმოებისთვის.

მეცხვარეობა. მარნეულის მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია მეცხვარეობა. 2013 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 49 586 ცხვარი. მარნეულში საქმიანობს 22 ფერმერული მეურნეობა, რომელთაც 500-ზე მეტი ცხვარი ჰყავთ. მატყლის ნაპარსი ერთ სულზე 2-2,5 კგ-ია.

საწარმოები

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს, ისინი ძირითადად წარმოდგენილია შემდეგ სფეროებში: დამამუშავებელი მრეწველობა, სასაწყობო/მემნახველი, ვაჭრობა, მშენებლობა. მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგებია: ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება. ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოება. მარნეულში მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, რომელიც ადგილობრივი ნედლეულით აწარმოებს ბოსტნეულისა და ხილის 30 დასახელების პროდუქტს.

მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული მდებარეობა (სიახლოვე მეზობელ ქვეყანასთან და დედაქალაქთან, სატრანზიტო გზა) • ნოყიერი ნიადაგი • კლიმატური პირობები • მდიდარი ბუნებრივი რესურსები (სამშენებლო მასალები: ქვა, ღორღი) 	<ul style="list-style-type: none"> • სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების არარსებობა • მოუწესრიგებელი საგზაო და წყლის სისტემები • ინფორმაციის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (სასუქების არასწორი გამოყენება და მიწის გამოფიტვა) • მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების კვლევის ლაბორატორიის არარსებობა • ენის ბარიერი შორეულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის

შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, რომელიც იძლევა ბაზრების გაფართოების საშუალებას 	<ul style="list-style-type: none"> • მიწის გამოფიტვის საფრთხე • სტიქიური უბედურებები, განსაკუთრებით მდინარის ჩამონადენის მიერ გამოწვეული წყალდიდობა • ეკოლოგიური საფრთხე მდინარეების კალაპოტების და ხევების დანაგვიანების შედეგად

ძლიერი მხარეები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეებიდან პირველ რიგში გამოსაყოფია მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ქვეყნის დედაქალაქი, მთავარი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი სომხეთთან (სადახლო) და მთავარი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აზერბაიჯანთან 30 კმ-მდე მანძილზე მდებარეობენ, რაც აადვილებს პროდუქტების ტრანსპორტირებას. მარნეული ბუნებრივად ყალიბდება სატრანსპორტო კვანძად, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის რეგიონის განვითარებისთვის.

მარნეულის მუნიციპალიტეტი ასევე განთქმულია საქართველოში თავისი სოფლის მეურნეობით. ნოყიერი ნიადაგი და ხელსაყრელი კლიმატი განაპირობებს მაღალმოსავლიანობას. მაგალითად, საქართველოში წარმოებული პომიდვრის დიდი ნაწილი სწორედ მარნეულიდან მოდის. მზიანი დღეების დიდი რაოდენობის გამო, არსებობს პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობა. გარდა სოფლის მეურნეობისა, მუნიციპალიტეტში მოიპოვებენ წიაღისეულსაც. აქ არის დიდი ოდენობით ბაზალტის ქვის საბადო, მარმარილოს საბადო სადახლოში, ქვა-ღორღის, გაჯის და თეთრი ქვის მარაგები.

სუსტი მხარეები

მიუხედავად შედარებით განვითარებული მეცხოველეობისა და მემცენარეობისა, რეგიონში პრაქტიკულად არ არსებობს სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა. ეს აბრკოლებს გრძელვადიან განვითარებას. ფერმერებს უწევთ კლიენტების სწრაფად მოძებნა. ხანდახან, მოსავალი მიწის ნაკვეთიდანვე იყიდება, რადგან შენახვის და მოგვიანებით გაყიდვის შესაძლებლობები მწირია. სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა ფერმერებს მისცემდა უკეთ დაგეგმარების და წარმოების ბრუნვის გაზრდის საშუალებას.

ისევე როგორც ბევრ სხვა რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტშიც საძოვრებამდე და სათიბებამდე მისასვლელი გზები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ამიტომ, ხანდახან მოსახლეობას ფეხით ან ცხენით უწევს ხოლმე ამ მანძილების გავლა, რაც ართულებს თივის საკმარისი რაოდენობით ჩამოტანას.

მიუხედავად იმისა, რომ მარნეულში შემორჩენილია ძველი საირიგაციო სისტემის ფრაგმენტები, არსებული წყლის რესურსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს სარწყავი წყლით მთლიანად მაინც ვერ აკმაყოფილებს. სულ მუნიციპალიტეტში დაახლოებით 22 ათასი ჰა ფართობის სახნავი მიწაა, მაგრამ აქედან მხოლოდ 4,968 ჰექტარი ირწყვება.¹⁴

პრობლემურია სასმელი წყლით მომარაგებაც. მარნეულის მოსახლეობას სასმელი წყლით სამი კომპანია ამარაგებს: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, მარნეულის

14 შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ხრამი-დებედას აუზის სისტემური სამმართველო

სოფლის წყალი და რუსთავის წყალი. ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო დანაკარგების ნორმა მაღალია, რაც ზრდის წყლის თვითღირებულებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს სისტემის მთავარი პრობლემაა.

კიდევ ერთი გადასაჭრელი საკითხი, რაც არსებობს მუნიციპალიტეტში, არის სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. კერძოდ, მოსახლეობამ ხშირად არ იცის ცხოველთა მოვლის ელემენტარული წესები, სასუქების გამოყენება ან მიწის დამუშავების ტექნიკა (რამაც შეიძლება მიწის გამოფიტვა გამოიწვიოს).

ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, მარნეულის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სოფლის მეურნეობის ლაბორატორიული კვლევებისთვის. ასეთი ბაზა/ლაბორატორია კარგი იქნებოდა ნათესებისთვის მიწის ფართობების შესარჩევად, ასევე ცხოველთა დავადებების კონტროლისთვის.

მარნეულის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური აზერბაიჯანელია. თუმცა, რაკი ეს ქალაქი ერთგვარ სატრანსპორტო და სავაჭრო კვანძს წარმოადგენს და ხშირია ინტერაქცია როგორც ადგილობრივ, ისე სხვა რეგიონებიდან და ქვეყნებიდან ჩამოსულ მოსახლეობასთან, ქალაქში ენის ბარიერი თითქმის არ არსებობს. თუმცა, არის რამდენიმე მოშორებული სოფელი, სადაც ადგილობრივ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს უჭირთ ქართულად ან რუსულად კომუნიკაცია.

შესაძლებლობები

მარნეულის გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს განვითარების უამრავ შესაძლებლობას. პირველ რიგში, არსებობს საკმაოდ დიდი სივრცე ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობისთვის. ხელსაყრელია დიდი მოცულობის საქონლის როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი. საამისოდ სომხეთის და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი ბაზრების/მოთხოვნის შესახებ.

საფრთხეები

მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, მიწის გაუფრთხილებელმა გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობას. ხშირად, ფერმერებმა არ იციან მიწის დამუშავების და მოვლის ელემენტარული წესები, რის შედეგადაც მიწა „იფიტება“ და მოსავლიანობა კლებულობს. მარნეულში მოსავლისთვის საფრთხეა სტიქიაც. მდინარეების წლიური ჩამონადენის ნახევარზე მეტი გაზაფხულზე მოდის, რაც ხშირად წყალდიდობებსაც იწვევს.

ასევე საგანგაშოა ეკოლოგიური მდგომარეობა. ნარჩენები მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების მხოლოდ 40-45%-დან გააქვთ, რადგან სოფლებში არ არსებობს ბუნკერები და მოსახლეობა ნარჩენებს მდინარეების კალაპოტებსა და ხევებში ქაოსურად ყრის. გარემოს ასეთი დაბინძურება უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაზე.

მეორე ნაწილი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების გეგმის ფარგლებში შემუშავებული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს სამომავლო დონის ძიებები სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისთვის. გარდა ამისა, განვითარდება მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერული მეურნეობები და გაიზრდება ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს, გააუმჯობესებს მათ სოციალურ მდგომარეობას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფცია, რომელიც აღწერს, როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მასში მაცხოვრებელი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ, 3-4 წლის შემდეგ).

მოცემული ხედვა ასახავს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფერო 4-წლიან პერსპექტივაში.

ხედვა: თუკი მარნეულის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი გახდება თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის სფეროში, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის წარმოების მასშტაბები გაიზრდება, რაც გააუმჯობესებს ღირბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს 2016 წლისთვის.

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები

მარნეულის მუნიციპალიტეტში გამართული სამუშაო შეხვედრებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა მკაფიო მიზნები მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

მთავარი მიზნები ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგზე, მაგრამ მათ მაინც აღწერითი ხასიათი აქვთ:

- სოფლის მეურნეობის დარგის (მეხოსტნეობის) განვითარებით ღირბი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა;
- მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისათვის (მცირე და საშუალო საწარმოები) სათანადო პირობების შექმნით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ადგილობრივი ბაზრის განვითარების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგად მიზნებს.

პირველი რიგის პრიორიტეტები:

- **აგრო-განათლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** აუცილებელია, ფერმერებს ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება, რომ სწორად დაგეგმონ საწარმოო პროცესი. ფერმერებმა ხშირად არ იციან პომიდვრის დათესვის, მოვლის და შენახვის სასარგებლო წესები. მათ ასევე არა აქვთ ინფორმაცია პოტენციური ბაზრების და ფასების დინამიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მცირეა პროფესიონალების რაოდენობა, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს. ამიტომ, აგრონომების მომზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.
- **ინვესტიციების მოზიდვა.** ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (მათ შორის, პომიდვრის) გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების შესაქმნელად.

მეორე რიგის პრიორიტეტები:

- **ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.** სომხეთის საზღვართან სიახლოვე, განვითარებადი ინფრასტრუქტურა და ინფორმაციის გაცვლის არხები ხელს უწყობს ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობას. შესაბამისად, შესაძლებელია ფოკუსირება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ინფორმირება – დაინტერესებული ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია – რა მოთხოვნაა პომიდორზე საზღვრის იქითა მხარეს, რა ფასებია და ა. შ.
- **პომიდვრის გაუმჯობესებული ჯიშების და სათესლე მასალების ხელმისაწვდომობა.** მარნეულის ხელსაყრელი კლიმატის და ნიადაგის გამო, პომიდვრის მაღალპროდუქტიული სათესლე მასალის ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაზრდიდა მუნიციპალიტეტის პოტენციალს პომიდვრის წარმოების მხრივ.

მესამე ნაწილი:

მარნეულის მუნიციპალიტეტში წარმოებული პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

ზოგადი საკითხები

მარნეულის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული პროდუქტის გამოსავლენად ერთმანეთთან შედარებით გაანალიზდა მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ალტერნატივები): პომიდორი, კიტრი, ხახვი, კომბოსტო და სიმინდი. აქედან ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოვლინდა პომიდორი.

მუნიციპალიტეტში გავრცელებულია როგორც ადრეული, ისევე საგვიანო პომიდვრის ჯიშები. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების ვადები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მათგანს ანიჭებს ფერმერი უპირატესობას.

ცხრილი 1: პომიდვრის წარმოების კალენდარი თვეების მიხედვით

საქმიანობა	ოქტ	ნოვ	დეკ	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ
სასუქის შეტანა											
მოხვნა											
კულტივაცია											
მინერალური სასუქის შეტანა											
დარგვა					ადრეული			გვიანი			
ქიმიკატები											
თოხნა											
მორწყვა											
მოსავლის აღება											
გაყიდვა											

საწარმოო მასალის მიწოდება

ორგანული სასუქები – ფერმერების ინფორმაციით, შემოდგომაზე, მოხვნამდე, საჭიროა ნიადაგის ბუნებრივი სასუქით გამდიდრება. ვინაიდან ორგანული სასუქები შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს აზოტს, ფოსფორს და კალიუმს, ისინი ნიადაგში დიდი რაოდენობით შეაქვთ – საშუალოდ 20-30 ტონა ერთი ჰექტრის გასანოციერებლად.

სათესლე მასალა იყიდება მუნიციპალიტეტში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებში. ისინი უცხოეთიდან შემოაქვთ და ამიტომ ხარისხი ვარგია. თუმცა ხშირად ფერმერები თესლს წინა წლის მოსავლიდანაც ინახავენ. პომიდვრის ჯიშებს ფერმერები რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით არჩევენ - (ა) წინა წლის შედეგებით რომელმა ჯიშმა გაამართლა; (ბ) კონსულტაციები სახელმწიფო მეცნიერების ცენტრში; (გ) ახლობლების გამოცდილება. ერთი ჰექტრის დასათესად დაახლოებით 100 გრამი თესლია საჭირო. 1 კგ-ის ფასი, ხარისხიდან გამომდინარე, 100-დან 1200 ლარამდე მერყეობს.

მინერალური სასუქები – ვინაიდან ერთი და იგივე კულტურის – პომიდვრის მოყვანა ყოველ წელს იმავე მიწაზე ხდება, ეს ფიტავს ნიადაგს და მისი სასუქებით გამდიდრება აუცილებელია მოსავლის მისაღებად. ამიტომ მოსახლეობას ნიადაგში ის მინერალური სასუქი შეაქვს, რომლის რაოდენობა და სახეობა ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ეს ძირითადად გაზაფხულზე, კულტივაციამდე კეთდება. უმჯობესია კომპლექსური სასუქების გამოყენება, რომელთა შემადგენლობაშიც რამდენიმე მცენარის საკვები ელემენტი შედის. ერთ ჰექტარზე დაახლოებით 300 კგ ასეთი სასუქია საჭირო. 1 კგ-ის საშუალო ფასი 2013 წელს 1.2 ლარი იყო. ხარჯი ერთ ჰექტარზე – 360 ლარია. თუმცა, ხშირად მოსახლეობა მარტო აზოტოვან სასუქს იყენებს, რომელიც შედარებით იაფია – 0.8 ლარი.

პესტიციდები – ერთ ჰექტარზე პესტიციდების ღირებულებამ შესაძლოა დაახლოებით 650 ლარი შეადგინოს. გამოიყენება ჰერბიციდები – ბალახთან და სარეველებთან, ინსექტიციდები – მავნებლებთან და ფუნგიციდები – სოკოვან დაავადებებთან საბრძოლველად. ამათგან ყველაზე ხშირად (დაახლოებით 7-ჯერ) საჭიროა ფუნგიციდების გამოყენება. თუმცა, მათი ღირებულება შედარებით მაღალია (450 ლარამდე) და ამიტომ პროფილაქტიკის მიზნით მათ იშვიათად იყენებენ. შედეგად კი გაზრდილია სოკოვანი დაავადებების (ფიტოფტორა, ალტერნარიოზი და ა. შ.) გავრცელების საშიშროება. დათესვამდე საჭიროა თესლის ინსექტიციდით დამუშავება, რაც ამცირებს მავნებლების გაჩენის ალბათობას. უცხოეთიდან შემოტანილი თესლი, რომელიც დაფასოებულია, უკვე დამუშავებულია. ადგილობრივი წარმოების თესლს, ან წინა წლის მოსავლიდან შენახულს ფერმერები იშვიათად ამუშავებენ.

ფერმერების ინფორმაციით, უკანასკნელ სამ წელიწადში გავრცელდა ახალი მწერი (მენალმე ბუზი), რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს მოსავალს. მასთან საბრძოლველი ქიმიკატები ძვირია და მცირე ფერმერები მათ ვერ ყიდულობენ. შედეგად, მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ბუზი ვრცელდება იმ ნაკვეთებშიც, სადაც გამოიყენეს ქიმიკატები.

იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული ქიმიკატები სასურველ შედეგს არ იძლევა, მოსახლეობა დაავადებასთან ან მავნებლებთან საბრძოლველად სხვა ტიპის პრეპარატებს იყენებს. თუმცა, ხშირად ეს არაეფექტიანია. მაგალითად, 2013 წელს გავრცელდა ვირუსული დაავადება და მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთა ნაწილმა თითქმის 10 სახეობის სხვადასხვა პრეპარატი გამოიყენა, ზოგიერთ ნაკვეთში მოსავალი თითქმის სრულად გაანადგურა. ნაკვეთებს ძირითადად მამაკაცები წამლავენ.

საწარმოო მასალის მაღაზიები

მუნიციპალიტეტის ცენტრებში განთავსებულია რამდენიმე მაღაზია, სადაც ფერმერებს საწარმოო მასალის შეძენა შეუძლიათ. როგორც წესი, მათ ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში ჰყავთ წარმომადგენლები, რომლებიც პროდუქციას ფერმერებს აწვდიან. შესაბამისად, საწარმოო მასალა თითქმის მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის ხელმისაწვდომი. თუმცა, ცენტრისგან განსხვავებით, წარმომადგენლებთან პროდუქციის შედარებით ნაკლები არჩევანია.

საწარმოო მასალა არის როგორც ქართული, ასევე უცხოური წარმოების. ხელმისაწვდომია როგორც ცნობილი კომპანიების მაღალი ხარისხის პროდუქცია (ბაიერი, ბასფი, სინჯენტა), ასევე, შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტები განვითარებადი ქვეყნებიდან. მაღაზიებში კონსულტანტებად მუშაობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

პომიდვრის მოყვანა

მოხვნა – შემოდგომით მიწის დამუშავება პირველი თოვლის მოსვლამდე გრძელდება, ძირითადად ოქტომბერსა და ნოემბერში. ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთის მოხვნის ფასი 120-160 ლარია.

კულტივაცია აპრილში, თესვის დაწყებამდე კეთდება. ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთის კულტივირება 60-80 ლარი ღირს.

მექანიზატორებს ძირითადად მამაკაცები უკავშირდებიან და ათანხმებენ სამუშაოს შესრულების ვადებს და პირობებს.

ჩითილების გამოყვანა – ვინაიდან ღია გრუნტში საადრეო პომიდვრის მოყვანა შეუძლებელია, ჩითილები სათბურებში გამოჰყავთ. ერთი ჰექტრისთვის დაახლოებით 22,000 ჩითილია საჭირო.

დარგვა – დარგვა იწყება 20 თებერვლიდან და გრძელდება მარტის დასაწყისამდე, საგვიანო პომიდვრისა კი – 20 აპრილიდან მაისის დასაწყისამდე. ეს პროცესი ორ-ორი კვირის მანძილზე გრძელდება. მცირე მეურნეობები საკუთარი ძალებით რგავენ პომიდორს და ამ პროცესში ოჯახის ყველა წევრია ჩართული. ერთ ჰექტარზე დარგვას ოჯახები ერთ დღეში ასწრებენ. დიდი მეურნეობები კი დაქირავებულ მუშახელს იყენებენ.

ირიგაცია – პირველად პომიდორი ირწყვება დარგვისთანავე. მოსავლის მიღებამდე კი 3-6-ჯერ უნდა მოირწყას. ერთი ჰექტრის მორწყვა 75 ლარი ღირს. წყალზე მოთხოვნა დიდია, განსაკუთრებით ცხელ ამინდებში და შესაძლებელია ფერმერს ერთი კვირა მოუწიოს ლოდინი. მოშლილი საირიგაციო სისტემის გამო ზოგიერთი ოჯახი საერთოდ ვერ იღებს წყალს და დამოკიდებულია წვიმებზე, რაც მოსავლის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

თოხნა სულ მცირე ოთხჯერ არის საჭირო. მცირე ფართობზე ოჯახები თვითონ თოხნიან, ხოლო დიდ ფართობზე დაქირავებულ მუშახელს იყენებენ. როგორც წესი, ქირაობენ ქალებს. გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ფერმერები უკავშირდებიან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს, რომლებიც თვითონ პოულობენ მუშახელს და ჩაჰყავთ ადგილზე. მუშახელის ერთი დღით ქირაობა 20 ლარი ღირს. მათი დაქირავება პრობლემურია მხოლოდ მაშინ, როდესაც პომიდვრის თოხნის და კარტოფილის ამოღების პერიოდები ემთხვევა. ამ დროს ისინი უპირატესობას კარტოფილის ამოღებას ანიჭებენ. სხვა შემთხვევებში მუშახელი ადვილად ხელმისაწვდომია.

პომიდვრის მოსავლის აღება და გაყიდვები

მოსავლის აღება – ერთ ჰექტარზე პომიდორს 4-5 ადამიანი ერთ დღეში კრეფს. ხშირად ოჯახები საკუთარი ძალებით იღებენ მოსავალს. შედარებით დიდ ფართობზე ფერმერები დაქირავებულ შრომასაც იყენებენ – 20 ლარი ერთი კაც/დღე. პომიდორს ძირითადად ქალები კრეფენ, ხოლო მამაკაცებს ყუთები გადააქვთ მინდვრიდან.

მოსავლის ყუთებში ჩაწყობა – დაკრეფისთანავე მოსავალი ლაგდება ყუთებში. მოსახლეობა ყუთებს მარნეულში კერძო პირებისგან ყიდულობს. პროდუქციის გაყიდვის დროს ფერმერები მყიდველებისგან იგივე რაოდენობის ცარიელ ყუთებს იღებენ.

ბითუმად მოვაჭრეები ძირითადად თბილისიდან, თუმცა ხშირად სხვა რეგიონებიდანაც ჩამოდიან. მათ შორის, სამცხე-ჯავახეთიდან. ისინი პირდაპირ მიდიან ფერმერებთან და ყიდულობენ პროდუქციას.

საბოლოო ბაზარი – თბილისში და სხვა დიდ ქალაქებშია, სადაც მოსახლეობას იმ შემთხვევაში მიაქვს პროდუქცია, თუ ბითუმად მოვაჭრეები არ ჩადიან მუნიციპალიტეტში, ან ძალიან დაბალ ფასს სთავაზობენ ფერმერებს.

მარნეულის საკონსერვო ქარხანაში ჩასაბარებელი ფასი თითქმის თვითღირებულების ტოლია, ამიტომ მოსახლეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში აბარებს იქ პომიდორს, თუ ვერ ყიდის და სხვა არჩევანი არ აქვს.

დახმარება პომიდვრის წარმოებისას მექანიზაცია

მუნიციპალიტეტში პომიდვრის მოყვანისთვის საჭირო სამუშაოებს სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრები და კერძო მექანიზატორები ახორციელებენ. სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრებს აქვთ თანამედროვე ტექნიკა, რითაც სამუშაოები უკეთესად სრულდება. თუმცა, მექანიზაციის ცენტრი, ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობის გამო, მხოლოდ მოსახლეობის ნაწილს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ტექნიკის სხვა მუნიციპალიტეტებიდან (თეთრიწყარო, გარდაბანი) მობილიზაცია, ეს მაინც არ არის საკმარისი. 2013 წლის მონაცემებით, მექანიზაციის ცენტრმა 6000 ჰა-ზე მეტი მიწა დაამუშავა, რაც მთლიანი სახნავი ფართობის დაახლოებით 1/4-ია.

მეორე მხრივ, ყველა სოფელს ჰყავს კერძო მექანიზატორები, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას მათ სერვისებზე. კერძო მექანიზატორების დაქირავება ხელსაყრელია მცირე ფერმერებისთვის, რადგან მათთვის თანხის გადახდა შესაძლებელია შემოდგომაზე, მოსავლის გაყიდვის შემდეგ. სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრში კი საფასური წინასწარ უნდა გადაიხადონ, რაც მცირე ფერმერებს ხშირად უჭირთ.

ფინანსური რესურსები

მარნეულში რამდენიმე ბანკის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის – „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“, „თიბისი ბანკის“, „კორ-სტანდარტ ბანკის“, „კონსტანტას“, „ვითიბი ბანკის“ ფილიალებია.

მოსახლეობაში პოპულარულია იაფი აგროკრედიტების პროგრამა, რომელიც 5,000-დან 100,000 ლარამდე კრედიტის აღების შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს. ყველაზე ხშირად მოსახლეობა იღებს 20,000 ლარამდე კრედიტს. კრედიტი სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით, რაც ასევე ამცირებს კრედიტის მოცულობას.

დაზღვევით ფერმერები იშვიათად სარგებლობენ. ხშირად მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია ასეთი სერვისის არსებობის ან პირობების შესახებ. იმ ფერმერებს, რომლებსაც სმენიათ დაზღვევის შესახებ, მიაჩნიათ, რომ უკეთესია ფინანსური რესურსების კარტოფილის წარმოებაში გამოყენება, ვიდრე დაზღვევის ღირებულების გადახდა. მეორე მხრივ, ფერმერები დაზღვევას საჭიროდ მიიჩნევენ.

კონსულტაციები/ ინფორმაციის მიწოდება


დაავადებებსა და მათთან ბრძოლის ხერხებზე მოსახლეობა ინფორმაციას იღებს ძირითადად მაღაზიებიდან, სადაც ისინი სათესლე მასალას, სასუქს და პესტიციდებს ყიდულობენ. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებს პროფესიონალი აგრონომები არ ჰყავთ, პირადი გამოცდილებისა და სანარმოო მასალის მწარმოებლების ბროშურებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ისინი კონსულტაციებს მაინც უწევენ ფერმერებს. ხშირად კონსულტაციები ეფუძნება ვიზუალური დათვალიერების შედეგებს ან სიტყვიერ ინფორმაციას ფერმერებისგან. დაავადებების გავრცელების შემთხვევაში ფერმერებს მიაქვთ დაავადებული ღერო/ ფოთოლი/ ნაყოფი. ვიზუალური დათვალიერების შემდეგ მაღაზიის თანამშრომელი განსაზღვრავს დაავადებას და ურჩევს ფერმერს საჭირო ქიმიკატებს.

სურსათის უვნებლობის ადგილობრივი სამსახური, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს დაქვემდებარებაშია, ახორციელებს გეგმიურ მონიტორინგს, გავრცელებული რთული დაავადებების და მავნებლების შესახებ აგროვებს ინფორმაციას და აწვდის გამგებელს, რომ რწმუნებულებმა მოსახლეობაში გაავრცელონ. სამსახური ყოველ წელს ახორციელებს უფასო შენამვლებს კალიის სანინააღმდეგოდ.

პომიდვრის იმპორტის ტენდენციები საქართველოში

2009 წელს პომიდვრის იმპორტის მოცულობამ ფულად მაჩვენებლებში 3519.30 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა და 4583.53 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2011 წელს 46%-ით 6712.99 ათასი აშშ დოლარამდე მოიმატა, რაც შეეხება 2012 წელს, ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 6835.08 ათასი აშშ დოლარია.

დიაგრამა 3: პომიდვრის იმპორტის მონაცემები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო

მეოთხე ნაწილი:

საკანონმდებლო ანალიზი პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვისთვის

მარნეულის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზით, პომიდვრის წარმოება მუნიციპალიტეტის მთავარი მიმართულებაა. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ კანონმდებლობას, რომელიც პომიდვრის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

პომიდვრის წარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 3 ივლისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ, 2010 წლის 10 სექტემბერი.

ზოგადი საკითხები

რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება

ჩვეულებრივი ბიზნესების გარდა, საქართველოს სასურსათო კანონმდებლობა ასევე გამოყოფს „ოჯახური წარმოების სუბიექტს“ და „მცირე ბიზნესს“. ოჯახური წარმოების სუბიექტია ფიზიკური პირი, „რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით“. ამ კატეგორიაში მოიაზრება ტიპური გლეხი, რომელსაც სახლში მოჰყავს პომიდორი და პერიოდულად ყიდის ხოლმე მას. ის ბიზნესები კი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, ითვლებიან „მცირე ბიზნესად“ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი – საოჯახო, მცირე და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის დაწესებულია ჯარიმების განსხვავებული ოდენობები.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა ასევე განასხვავებს ორი სახის ხარვეზს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში. პირველი ტიპის ხარვეზი არის „არაკრიტიკული შეუსაბამობა“, როცა ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობას პირდაპირი საფრთხე არ ექმნება და ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ბიზნესის წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე. მეორე ტიპის ხარვეზია „კრიტიკული შეუსაბამობა“. ასეთ შემთხვევაში ხდება ადამიანის/ცხოველის ჯანმრ-

თელობისთვის სახიფათო სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირება და ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია სანარმოო პროცესის შეჩერების გარეშე (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ბიზნესის დანება

ბიზნეს ოპერატორი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესი (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 13). თუ ბიზნესი აწარმოებს სურსათს/ცხოველურ საკვებს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მაშინ ის დაჯარიმდება 300 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 64). ზოგადად, ბიზნესის დარეგისტრირების წესი განერილია საქართველოს კანონში მწარმეთა შესახებ, მუხლები 4-8.

სურსათის უსაფრთხოება

ბიზნეს ოპერატორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოება იმ კრიტერიუმების და პრინციპების შესაბამისად, რაც განერილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში. თუ ბიზნეს ოპერატორს აქვს ეჭვის საფუძველი პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას – აღკვეთოს პროდუქტის განთავსება ბაზარზე და გამოითხოვოს უკვე განთავსებული პროდუქცია. ასევე, ბიზნეს ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სურსათის სააგენტოს პრობლემის და მიღებული ზომების შესახებ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 14). თუ ბიზნეს-ოპერატორი განაგრძობს თავისი პროდუქციის გაყიდვას და დადგინდა, რომ მას ჰქონდა ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაშინ ის დაჯარიმდება 1000 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 65).

პომიდვრის წარმოებისთვის დასაშვებია ყველა იმ პესტიციდის და აგროქიმიკატის გამოყენება, რომელიც სახელმწიფო კატალოგშია შეტანილი. თუმცა, ბუნებრივია, აკრძალულია იმ ნივთიერებების გამოყენება, რომელთაც სარეგისტრაციო მოცდების შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა დაუდგინდათ (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 4). პესტიციდებისა და მათი ჭურჭლის (ტარის) გაუვნებელყოფა და განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნებისმერი ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, თავიანთი სახსრებით განახორციელონ გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდების ჩაბარება გაუვნებელყოფისა და განთავსების მიზნით (საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 23).

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს გარეულ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებანი (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, მუხლი 18). მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის მოთხოვნები (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, მუხლი 22).

პესტიციდები და აგროქიმიკატები, რეგისტრაციამდე, ექვემდებარება სარეგისტრაციო გამოცდებს. ეს არ ვრცელდება ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ რეგისტრირებულ პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე – საქართველოში რეგისტრაციისთვის მათ არ სჭირდებათ სარეგისტრაციო გამოცდები. გამოცდებს ატარებენ შესაბამისი ლაბორატორიები, ხოლო ხარჯებს რეგისტრანტი ანაზღაურებს. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ კანონის მიხედვით, სარეგისტრაციო გამოცდა მოიცავს:

- ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ბიოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენასა და მათი გამოყენების რეგლამენტების შემუშავებას;
- ბ) ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შეფასებას, ჰიგიენური ნორმატივების, სანიტარიული ნორმებისა და წესების შემუშავებას;
- გ) გამოყენების რეგლამენტების ეკოლოგიურ შეფასებას (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 10).

დადებითი შეფასების შემთხვევაში, რეგისტრაციის გაცემა ხდება გამოცდის შედეგიდან ერთი თვის განმავლობაში. რეგისტრაციის ვადა, როგორც წესი, 10 წლით განისაზღვრება (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 12).

წარმოება

ამჟამინდელი კანონმდებლობით, პომიდვრის წარმოებას არ სჭირდება ლიცენზიის ან ნებართვის აღება. თუმცა, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით აუცილებელია ნებართვა ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქციის იმპორტისთვის. ამგვარად, თუ ბიზნეს-ოპერატორი გადაწყვეტს პომიდვრისთვის სათესლე მასალის იმპორტს, მაშინ მას დასჭირდება შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღების წესები განერილია საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში და საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა (გარემოზე ზემოქმედების შესახებ, მუხლი 5).

ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ნორმებს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ).

სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისას სავალდებულოა იმ შეზღუდვების დაცვა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ).

სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობისას სავალდებულოა წყალსარგებლობის დადგენილი წესების, ნორმებისა და რეჟიმის დაცვა. სავალდებულოა ღონისძიებების (მ.შ. გამწმენდი

ნაგებობების დამონტაჟება) გატარება წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით (საქართველოს კანონი წყლის შესახებ. მუხლი 53). ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესი განსაზღვრულია თითოეული წყლის სისტემისთვის დამოუკიდებლად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ (მუხლი 5).

გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო ობიექტის პრივატიზებისას ახალი მეპატრონე სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ მეპატრონეს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 21).

საწარმოო პროცესის დროს დაცული უნდა იყოს ჰიგიენის ელემენტარული წესები, რაც განერილია საქართველოს მთავრობის №173 დადგენილებაში სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ. ამ დადგენილებაში არის საუბარი ისეთ ნორმებზე, როგორიცაა საკვების სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება, ადეკვატური სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა და ა. შ. თუ პომიდვრის წარმოება საოჯახო ბიზნესი ან მცირე ბიზნესის კატეგორიაში გადის, მაშინ მოქმედებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ საქართველოს მთავრობის №282 დადგენილება. ამ დადგენილებაში ჰიგიენის დაცვის უფრო ნაკლები კრიტერიუმია, ვიდრე ზოგად წესში.

თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

გაყიდვები

გაყიდვისას, სურსათის/ცხოველის საკვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ეტიკეტი. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 18).

მეხუთე ნაწილი:

ინიციატივები მარნეულის მუნიციპალიტეტში

მარნეულის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა ინიციატივები, რომელთა განხორციელება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი. ინიციატივები შეირჩა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- იგი მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- იგი შეესაბამება განვითარების ხედვას და პრიორიტეტებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში სულ გამოვლინდა ოთხი ინიციატივა, რომლებიც დეტალურად ქვევითაა განხილული.

ინიციატივა # 1: ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი სამაცივრე-სასაწყობე ინფრასტრუქტურის მოწყობა

მეზოსტენობის განვითარებისთვის აუცილებელია სამაცივრე-სასაწყობე ინფრასტრუქტურის გამართვა. ამ ინიციატივის შესასრულებლად, საჭიროა რამდენიმე კომპონენტის ამოქმედება:

- **საჭიროებების შესწავლა.** ინიციატივის განსახორციელებლად პირველი ნაბიჯი იქნება სპეციალისტთა ჯგუფის შერჩევა, რომელიც მოახდენს მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის საჭირო სამაცივრე-სასაწყობე ინფრასტრუქტურის შესწავლა/ანალიზს. უნდა დადგინდეს, რა მოთხოვნა არსებობს მსგავს ინფრასტრუქტურაზე, სად სჭობს მსგავსი საწყობების აშენება, და როგორ უნდა მოხდეს მათი მართვა.
- **სამაცივრე-სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.** საჭიროებების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა იმუშაოს ამ სფეროში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. კერძოდ, საჭირო იქნება სხვადასხვა დონეზე პრემენტაციების მოწყობა, სადაც წარდგენილი იქნება აღნიშნული ინიციატივა.

ინიციატივა #2: სასათბურე ინფრასტრუქტურის მოწყობა/გამართვა

მეზოსტენობის განვითარებისთვის, განსაკუთრებით პომიდვრის მოყვანისთვის, აუცილებელია სასათბურე ინფრასტრუქტურის გამართვა. ის შეამცირებს პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ რისკებს. მუნიციპალიტეტს ექნება ზუსტი წარმოდგენა პომიდვრის წარმოების პოტენციალთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- **საჭიროებების შესწავლა.** ინიციატივის განსახორციელებლად უპირველესად უნდა შეირჩეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და გააანალიზებს მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის საჭირო სასათბურე ინფრასტრუქტურას. უნდა დადგინდეს, რა მოთხოვნა არსებობს მსგავს ინფრასტრუქტურაზე, სად გაიყიდება ამ სათბურეებში მოყვანილი პომიდორი, სად სჭობს მსგავსი სათბურეების აშენება, და როგორ უნდა მოხდეს მათი მართვა.
- **ოპტიმალური სასათბურე ინფრასტრუქტურის ვარიანტის არჩევა.** საჭიროებების შესწავლის შემდეგ მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები – კონკრეტულად როგორი სასათბურე მეურნეობაა საჭირო მეზოსტენობის გასაზრდელად.

- **სასათბურე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.** საჭიროებების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა იმუშაოს ამ სფეროში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. კერძოდ, საჭირო იქნება სხვადასხვა დონეზე პრეზენტაციების მოწყობა, სადაც წარდგენილი იქნება აღნიშნული ინიციატივა.

ინიციატივა #3: პომიდვრის მოსავლიანობის გაუმჯობესება

ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, მუნიციპალიტეტმა ასევე უნდა იმუშაოს პომიდვრის მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხიანი სათესლე მასალების, სასუქების და პესტიციდების ხელმისაწვდომობას, ასევე ფერმერთათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების განვებას. ქვემოთ მოცემულია ამ ინიციატივის შემადგენელი კომპონენტები:

- **მაღალი ხარისხის სათესლე მასალის ხელმისაწვდომობა.** ფერმერებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მაღალი ხარისხის სათესლე მასალაზე, რომელიც ხშირად უცხოეთიდან შემოდის. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს მაღალი ხარისხის სათესლე მასალის შემოტანას ქვეყანაში.
- **ხარისხიან სასუქებზე/პესტიციდებზე ხელმისაწვდომობა.** ხშირად, ფერმერებს აქვთ არასრული ინფორმაცია სასუქების და პესტიციდების ხარისხის შესახებ. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის სასუქების და პესტიციდების ხელმისაწვდომობა ფერმერებისთვის.
- **ფერმერებისთვის საკონსულტაციო მომსახურების განვება.** მუნიციპალიტეტმა, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს, რომ ფერმერებს გააჩნდეთ ყველა სახის საჭირო ინფორმაცია პომიდვრის მოვლასთან დაკავშირებით – რა სათესლე მასალა გამოიყენონ, რა სასუქები და პესტიციდები, სად იშოვონ მაღალი ხარისხის საწარმოო მასალა, როგორ მოუარონ პომიდორს მაღალი მოსავლის მისაღებად და რა თანამედროვე ტექნოლოგიები არსებობს შედეგის გასაუმჯობესებლად. საინფორმაციო კამპანია დაფუძნებული უნდა იყოს პროაქტიულ მიდგომაზე და არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ ფერმერთა კონკრეტული კითხვებით.

ინიციატივა #4. ირიგაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

მაღალი მოსავლიანობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია წყალი. შესაბამისად, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის გარეშე პომიდვრის მოსავლის ზრდა გამოიხატება. ეს ინიციატივა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- **არსებული არხების რეაბილიტაცია.** საბჭოთა კავშირის შემდეგ, მარნეულის მუნიციპალიტეტში დარჩა ძველი საირიგაციო სისტემები, რომლებიც გამოვიდა მწყობრიდან. არხების ნაწილის რეაბილიტაცია და გამოყენება შესაძლებელია.
- **ახალი ტექნოლოგიების (დანვიმება, დასხურება) შესახებ ფერმერების ინფორმირება.** ძველი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციასთან ერთად, აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც. ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა დანვიმება, დასხურება და პივოტური მორწყვა საკმაოდ ეფექტიანია და შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ სოფლის მეურნეობის პოტენციალი.
- **ტექნოლოგიებზე ფერმერების ხელმისაწვდომობა.** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს, რომ დაეხმაროს ფერმერებს და სარწყავი ტექნოლოგიები მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ერთგვარი შუამავალი უნდა იყოს ტექნოლოგიების მიმწოდებლებსა და დაინტერესებულ ფერმერთა ჯგუფებს შორის.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ავსტრიის განვითარების
თანამშრომლობის (ADC) თვალსაზრისს.

